შპს
„მარჯანი-5“

ს/კ 200158051

ელ. ფოსტა: marjani5ltd@gmail.com

15 ივნისი , 2023 წელი

№13/08-22

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ შპს „მარჯანი 5“-ის სილიკომანგანუმის ჩამოსხმის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 29 ივლისის N2-721 ბრძანების საფუძველზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. საწარმო ექსპლუატაციაში შევიდა 2022 წელს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 22 სექტემბრის NDES7200000265 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „მარჯანი 5“-ის კუთვნილი სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე, საქრთველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 29 ივლისის N2-721 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს საქმიანობა არ ხორციელდება გზშ-ს ანგარიშში განხილული სქემის შესაბამისად. კერძოდ:

- წიდის გაციება ციცხვის ნაცვლად ხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ორმოში, რაც წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლას და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად მიიჩნევა სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად;
- საწარმოს ტერიტორიაზე, ელექტრომომარაგების მიზნით განთავსებული 110 კვტ-იანი ტრანსფორმატორი არ არის განხილული გზშ-ს ანგარიშში. 110 კვტ ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება წარმოადგენს გარემოსდაცითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნული დარღვევებზე იმსჯელა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ. სასამართლოს 2022 წლის 15 ნოემბრის N4/551-2022 დადგენილებით, კომპანია ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად და შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„16“ 06 2023
№ 5540

დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული იქნა 2023 წლის 04 აპრილის N003181 ადმინისტრაციული მიწერილობა (დანართი 3.), რომლითაც შპს „მარჯანი 5"-ს დაევალა სკრინინგის დაგაწვეტილების მიღების მიზნით, ერთი თვის ვადაში, მიმართის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

ზემოაღნიშნული მიწერილობის პირობების შესრულების მიზნით,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

წარმოგიდგენთ სკრინინგის განაცხადს, გთხოვთ განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართ: სკრინინგის განაცხადი;
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
საჯარო რეესტრის ამონაწერი;
Shp -ფაილები.

პატივისცემით,
იოსებ სამადაშვილი
დირექტორი